



**ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის საკრებულო**



**დადგენილება № \_\_\_8-18**

**“\_\_\_26\_\_\_” დეკემბერი 2017 წ**

**ქ. თბილისი**

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-58 დადგენილებაში (ვებგვერდი matsne.gov.ge; 24/12/2014; სარეგისტრაციო კოდი 010260050.35.101.016076) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების:

**1. მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) თბილისის მთავრობა - კოლექტიური აღმასრულებელი ორგანო, რომელიც შედგება: თბილისის მერის, მისი პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) და მოადგილეების, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისგან (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელისა) და თბილისის რაიონების გამგებლებისგან;“

**2. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. თბილისის მთავრობა შედგება თბილისის მერის, მისი პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) და მოადგილეების, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისგან (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელისა) და თბილისის რაიონების გამგებლებისგან.“

**მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.**

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“  
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-58  
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს დადგენილების პროექტის  
განმარტებითი ბარათი**

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-58 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება (შემდგომში დებულება).

საქართველოს ორგანულ კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 78-ე მუხლ ითვალისწინებს თბილისის ორგანოების საქმიანობის შიდა აუდიტს და ინსპექტირებას, რომელც ხორციელდება „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლს შესახებ“ საქართველოს კანონისა და თბილისის მერიის დებულების შესაბამისად

უნდა აღინიშნოს, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედმხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 იანვრის №1-2 დადგენილების თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზედმხედველობის საქალაქო სამსახური (შერმდგომში-სამსახური) არ ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა კონტროლს ან ზედმხედველობას. სამსახური ახორციელებს ზედმხედველობას და კონტროლს თბილისის ტერიტორიაზე მიმდინარე ყველ სახის სამშენებლო, სარეკონსტრუქციოდ სარემონტოსამშაობზე.

დებულების მოქმედი რედაქციის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შემადგენლობაში არ შედიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში შემავალი, კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიზანია დებულების საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან“ შესაბამისობაში მოყვანა. წარმოდგენილი ცვლილების თანახმად ზუსტდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შემადგენლობა და პირდაპირ განისაზღვრება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსი არ შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შემადგენლობაში.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.